



შირაკი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№40 (9.900)

26 ოქტომბერი-2 ნოემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

სიზიფეს
მოთმინება,
როგორც სასჯელი



გვ. 3

დაუბა ბეჰაუხი
მსოფლიო
ჩემპიონი
მესამეჯ გახდა



გვ. 2

„ქიზიყური შემოდგომა“ სკოლაში



ზემო მარხაანის საჯარო სკოლის საძირკვლის კურთხევა სკოლის მოსწავლეებმა „ქიზიყური შემოდგომით“ აღნიშნეს. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ეთერ დავითაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

„ქიზიყური შემოდგომაზე“ სკოლის თითოეულმა კლასმა მუსიკალური ნომრები და ტრადიციული კერძები წარმოადგინა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა სკოლის დირექტორს, მათა ხუნაშვილს, პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს მასშტაბური და ლამაზი ღონისძიების მომზადებისათვის მადლობა გადაუხადეს და საგანმანათლებლო საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

მერის ანგარიში

31 ოქტომბერს, 16 საათზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი 2019 წლის ანგარიშით წარდგება.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოხრდნენ.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. № 44

10 ნოემბერი – ზიროსმანობა 2019



მირზაანი

12 საათი



გახარია — „საქართველოს უზარმაზარი პოტენციალი აქვს გახდეს ჰაბი ვაჭრობის ხელშესაწყობად“

„საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა წარმოადგენს ეკონომიკის განვითარებისკენ გადადგომულ მნიშვნელოვან ნაბიჯს. ბიზნესი არის ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ძალა და მთავრობების მიერ განხორციელებული სავაჭრო რეფორმების საბოლოო ბენეფიციარი. შედარებით მცირე ადმინისტრაციული, ლოგისტიკური და სატრანსპორტო ბარიერები, გამარტივებული და ჰარმონიზებული სავაჭრო პროცესები ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაძლიერებას, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, გიორგი გახარია, „აბრეშუქის გზის ფორუმზე“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

პრემიერის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რეგიონში არსებული მულტინაციონალური მოთამაშეებისთვის სტაბილური, პროგნოზირებადი და მიმზიდველი გარემოს შექმნა, არასატარიფო ბარიერების მოხსნა, საზღვრის კვეთის და სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შემსუბუქება.

„ხაზგასასმელია, რომ ამ მხრივ საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის გამტარებელია, იმპორტირებული საქონლის 80%-ზე მეტი 0%-იანი იმპორტის გადასახადით იბეგრება. გამარტივებული საბაჟო პროცედურები და მინიმალურია არასატარიფო ბარიერები.

საქართველო, როგორც მხოლოდ 3.7 მილიონიანი სამომხმარებლო ბაზარი, შესაძლოა ვინმემ მიიჩნიოს არა მიმზიდველად. თუმცა, თუ შევხედავთ საქართველოს, როგორც რეგიონულ ჰაბს, მნიშვნელოვან განსხვავებას მივიღებთ. ჩვენ საქართველოს აღვიქვამთ და ვუყურებთ, როგორც კარიბჭეს, არა მხოლოდ კავკასიის, არამედ შუა აზიის, შემდგომ ევროპის და უფრო მსხვილ დასავლეთ და აღმოსავლეთ ბაზრებზე წვდომისთვის.

ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოსთან ერთად, საქართველოში თქვენ დაგხვდებათ საინვესტიციო პრეფერენციები, რომლებიც გაძლეთ საშუალებას, 2.3 მილიარდიან სამომხმარებლო ბაზრებზე წვდომისთვის. სამომხმარებლო ბაზრების ძირითადი ინფრასტრუქტურა იმ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით, რომელიც დღეს საქართველოს უკვე აქვს: ეს არის, როგორც მოგახსენებთ, ჩინეთის რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, ეს არის ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება. ეს არის დსთ-ს ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ასევე, თურქეთთან, უკრაინასთან. ასევე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის მოლაპარაკებები, რომლებიც დღეს მიმდინარეობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ინდოეთთან და ისრაელთან.

შესაბამისად, საქართველოს თავისი სტრატეგიული მდებარეობით ევროპასა და აზიას შორის, კარგად განვითარებული სატრანსპორტო და საბაჟო ინფრასტრუქტურით, ბიზნესზე მორგებული პოლიტიკით, ძლიერი რეგიონული და რეგიონს გარე სავაჭრო ურთიერთობებით, საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი, გახდეს ჰაბი და როგორც ისტორიულად, დღესაც განაგრძოს შესარულოს მნიშვნელოვანი როლი აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის ვაჭრობის ხელშესაწყობად, - განაცხადა გიორგი გახარია.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი კომპონენტია სატრანსპორტო ქსელები და ინფრასტრუქტურა.

„დღევანდელ სამყაროში, აზიასა და ევროპას შორის ახალი სატრანსპორტო დერეფნების განვითარება არამარტო შესაძლებლობა, არამედ აუცილებლობაცაა, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობისთვის.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს სატრანსპორტო და ლოგისტიკური ფუნქციების კიდევ უფრო გაძლიერებისათვის როგორც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ისე საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის თვალსაზრისით. ამ საკითხში, საქართველო დღეს წარმოადგენს სანდო და მყარ პარტნიორს. საქართველო ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის - ტრასეკას წევრია მისი დაარსების დღიდან. ამასთან, 2016 წელს შეუერთდით ცენტრალური აზიის რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის (CAREC) პროგრამას და მას შემდეგ, აქტიურად ვთანამშრომლობთ ნევრ ქვეყნებთან. აზიისა და ევროპის უმოკლესი გზით დასაკავშირებლად, საქართველო ასევე ჩართულია სხვადასხვა ინიციატივაში ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების მიზნით, როგორცაა შუა დერეფანი, ლაპის ლაზული და სხვა“, - განაცხადა გიორგი გახარია.

გენერალური პროკურატურა მამუკა ხაზარაძის მიერ უწყებაში ჩაბარებულ „მუქარის წერილის“ დედანთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

გენერალური პროკურატურა „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის მიერ უწყებაში გუშინ ჩაბარებულ „მუქარის წერილის“ დედანთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, „წერილი თვეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში, პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ფიზიკურად იყო ხელმისაწვდომი, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მასზე ეფექტური დაქტილოსკოპიური თუ სხვა სახის კვლევების ჩატარებას“.

მათივე ინფორმაციით, ამ დროისთვის წერილი დალუქულია. „დღეიდან საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიერ გუშინ, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარმოდგენილი მასალების თაობაზე.

2019 წლის 21 ოქტომბერს, მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარმოადგინეს ბრიტანული კერძო კომპანიის მიერ ჩატარებული დაქტილოსკოპიური კვლევის ამსახველი დასკვნა, კომპაქტ-დისკი, ასევე, დაულუქავ, ღია კონვერტში მოთავსებული, მათი თქმით, „მუქარის წერილის დედანი“ და განცხადება, წარმოდგენილ მასალებზე შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული წერილი თვეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში, პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ფიზიკურად იყო ხელმისაწვდომი, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მასზე ეფექტური დაქტილოსკოპიური თუ სხვა სახის კვლევების ჩატარებას.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით უკვე განხორციელდა წარმოდგენილი მასალების საპროცესო წესით დამაგრება და დალუქვა.

ამასთან, საქართველოს პროკურატურა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დეტალურად შეისწავლის განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ მასალებს და შესწავლის შედეგების შესახებ დამატებით მიაწვდის ინფორმაციას საზოგადოებას“, - ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ლაშა ბექაური მსოფლიო ჩემპიონი მისამედ გახდა

„სულ ვცდილობ და მომავალშიც ვეცდები, ჩემი სამშობლო და ხალხი გაგახარო“

ძიუდოს მსოფლიოს ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატის ტრიუმფატორმა ლაშა ბექაურმა საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე გულშემატიკურებს გვერდში დგომისათვის მადლობა გადაუხადა.

ბექაური აცხადებს, რომ ყოველთვის ცდილობდა და მომავალშიც ეცდებოდა, რომ ოჯახი, სამშობლო და ქართველი ხალხი გაახაროს.

ლაშა ბექაური: „ულრმესი მადლობა ყველას გვერდში დგომისთვის, გულშემატიკურობისთვის და საერთოდ ყველაფრისთვის.

მიყვარხართ, ვინც მიყვარხართ. სულ ვცდილობ და მომავალშიც ვეცდები ჩემი ოჯახი, ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი გაგახარო. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. — აცხადებს ლაშა ბექაური.

მაროკოს ქალაქ მარაკეში 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ლაშა ბექაურმა მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ფინალში, ევროპის ჩემპიონატის მსგავსად, კვლავაც უნგრელი როლანდ გომი დააიპონა, ხოლო 1/2 ფინალში, კი შარშანდელის მსგავსად, იაპონელი კოსუკო მაშიამა დამწუხრა.

ბექაურმა წელს ოქროს დუბლი შეასრულა. მან წელს ევროპის პირველობაც მოიგო.

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ საქართველოს მხარდამჭერი ორპარტიული აქტი დაამტკიცა

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ ერთსულთაგან დაამტკიცა ორპარტიული „საქართველოს მხარდამჭერი აქტი“, რაც საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული ურთიერთობების თვისებრივად კიდევ უფრო მაღალ დონეზე აყვანის მკაფიო დასტურია. ამის შესახებ ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათი ცნობით, ორპარტიული კანონპროექტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერას და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დამარღვევი პირების წინააღმდეგ სანქციების დაწესების ინიციატივით გამოდის. კანონპროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აშშ-საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ამ მიმართულებით სახელმწიფო მდივანს, შესაბამის უწყებებთან ერთად საქართველოსთან თანამშრომლობის მომავალი ხუთი წლის სტრატეგიის წარდგენას ავალებს. კანონპროექტი კონგრესი აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენელს მოუწოდებს გადადგას ქმედითი ნაბიჯები საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გასაფორმებლად, მოლაპარაკებების მიმართულებით. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცებული

„საქართველოს მხარდამჭერი აქტი“ საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარე კონგრესმენებმა, ჯერი კონოლიმ (დემოკრატი-ვირჯინიის შტატი) და ადამ კინზინგერმა (რესპუბლიკელი-ილინოისის შტატი) 2019 წლის 16 იანვარს წარადგინეს. კანონპროექტს 31-მდე თანასწორიანი ჰყავდა, როგორც დემოკრატიული, ასევე რესპუბლიკური პარტიებიდან. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ საქართველოს მხარდამჭერი აქტის ერთსულთაგან დაამტკიცებამდე, იგი კონგრესის რამდენიმე კომიტეტმა, მათ შორის საგარეო ურთიერთობათა, ოურიდიულ საკითხთა და შემოსავლების კომიტეტებმა ერთხმად მიიღეს.

საკანონმდებლო აქტი კონგრესი გმობს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას; ასევე, ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების, არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიას და დავით ბაშარულის მკვლელობებს. ამ სახით, კანონპროექტი ეხმარება „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში დარღვევისა და „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის ორპარტიულ რეზოლუციას; კერძოდ, კანონპროექტი გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ ძალისმიერი გზით ოკუპირებულ საქართველოს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთი ოსეთი მიმდინარე დაკავების, გატაცებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევებს, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების - არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის მკვლელობებს. კანონპროექტი მხარს უჭერს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ სრულად შეასრულოს ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება, და მხარს უჭერს საქართველოს რეგიონებში - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთი ოსეთი საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების შექმნასა და საკუთარ სახლებში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას. კონგრესი აშშ-ში შესვლის აკრძალვის, ქვეყნიდან გაძევების, ვიზისა, თუ აშშ-ში შესასვლელად საჭირო სხვა შესაბამისი დოკუმენტების არგაცემის/გაუქმების, შესაბამისი ტრანზაქციების დაბლოკვის/აკრძალვის და ფინანსური აქტივების დაყადაღების გზით სანქციების დაწესებას მოითხოვს ყველა იმ პირისადმი, ვინც უშუალო მონაწილეობით, ან დახმარების განწევს გზით პასუხისმგებელია რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევებზე. კონგრესი ავალებს აშშ-ის პრეზიდენტს, აშშ-ის ხაზინის მდივანთან კონსულტაციის გზით, კანონის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში და 180 დღიან პერიოდში მინიმუმ ერთხელ, ზემოხსენებულ დანაშაულებრივ ქმედებებში გამოვლენილი პირების თაობაზე კონგრესისათვის დეტალური ანგარიშის წარდგენას. კანონპროექტით აშშ-ის კონგრესი მხარდაჭერას გამოხატავს და ხაზს უსვამს საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული ფასეულობების განვითარებას, მათ შორის თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს, საჯარო სექტორის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, კანონის უზენაესობასა და ქვეყანაში მიმდინარე ანტიკორუფციულ ძალისხმევებს.

სიზიფის მოთმინება, როგორც სასჯელი

ათი თვის გაყინული ხელ-ფასები, გაუქმებული დაზღვევა, გადაუსდებელი შედეგად და-ბროვილი და გაზრდილი საბანკო დავალიანება, რის გამოც ბევრს ბინების ბარათზე დარჩენა ემუქრება - ასეთია სიტუაცია, რომელიც აღმოჩნდა „ფრონტარა ისტარა ჯორჯიას“ დედოფლისწყაროელი თანამშრომლები.

„ყველა ბანკში გვაქვს ვალი, ჯარიმები ერიცხება და ასტრონომიული თანხები გახდა უკვე. ესეც კანონის დარღვევაა. ჩვენ სახელფასო სესხები გვაქვს აღებული, ამ შემთხვევაში ბანკს არ აქვს უფლება, რომ ჯარიმები დაგვაკისროს, მაგრამ... მე 5 თვით შევარჩეე ჯარიმები თი ბი სი ბანკში, ანუ ასეთი რამ არსებობს, მაგრამ ყველა ჩემი თანამშრომელი რომ დავაკვლიანე, მეც შემინყვიტეს ეს პრივილეგია. შარშან მამულაშვილი შეგვიპირდა, რომ ჯარიმებს გადავიხდიდა, მე დავიჯერე მისი დაპირება, მივედი ბანკში და ამონაწერი გავაკეთებინე. როგორც სჩანს, მისი დაპირება ცარიელი სიტყვები აღმოჩნდა“ - ამბობს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

დედოფლისწყაროში ქართულ-ამერიკული ნავთობკომპანიაში 10 თვეა, უსაფრთხოდ ვუშვებ. როგორც ისინი აცხადებენ, ნავთობის მოპოვების საფუძვალზე უწყვეტ რაჟიონში მიმდინარეობს, ნაღვლის რეალიზაცია ხდება, მათ ხელფასებს კი კვლავ „ყაღალა ადვს“. კომპანიის ყველა თანამშრომელს გაუფრთხილეს აქვს პრობლემა, რომელიც უკვე აღმოჩნდა, რომელიც უკვე აღმოჩნდა, რომელიც უკვე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების პირობები დასაქმებულთა ვალდებულებათა ერთად

დასაქმებულის მოვალეობასაც მოიცავს, მათ შორის - შრომის ანაზღაურების ვალდებულება, მისი დარღვევისთვის არაა დასჯილი. ნავთობკომპანიის თანამშრომლები უწყვეტ რაჟიონში აბრკალებენ მუშაობას და სიზიფის მოთმინებით ელიან ხელშეწყობის კითხვებს - როგორ გამოვიყენოთ ხელფასი...

23 ოქტომბერს „ფრონტარა ისტარა ჯორჯიას“ 80-მდე თანამშრომელი კომპანიის გენერალურ დირექტორს ზაზა მამულაშვილს შეხვდა და მისგან მოითხოვა პასუხი კითხვაზე - როდის მიიღებენ 10 თვის მანძილზე დაგროვილ დავალიანებას? ან სად მიდის თანხა, რომელიც მათ მიერ მოპოვებული ნედლეულის რეალიზაციის შედეგად კომპანიაში შედის?

როგორც შეხვედრაზე ზაზა მამულაშვილმა განაცხადა, მიმდინარეობს დავა სასამართლოში, რომელსაც სჭირდება ხარჯები. მართალია, ნედლეულის მოძიება მიმდინარეობს, მაგრამ მათ ორ ანგარიშს ინკასო აქვს დადებული(!). ერთი, 250 000 ლარიანი ყაღალა, ცოტა ხნის წინ მოიხსნა და თანამშრომლებმა ხელფასები აიღეს, ხოლო მეორე ანგარიშს 130 000 ლარიანი ყაღალა ადევს. სწორედ ამის გამო ვერ ხდება მათი შრომის ანაზღაურების გაცემა. მამულაშვილის განცხადებით, სახელმწიფო კიდევ ერთ პრობლემას ქმნის. არსებობს 5 პუნქტიანი შეთანხმება, რომლის შესახებაც სახელმწიფოსთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. მათგან ორი პუნქტი: დღგ-სგან და აქციისგან გათავისუფლება(!) გახლავთ. სახელმწიფოსთან მიღწეული შეთანხმების შედეგად მათ კომპანიას გადაერიცხება დღგ-ს თანხა, რითიც დასაქმებულთა ხელფასებს უპრობლემოდ

გაისტუმრებენ.

შეხვედრაზე იყო გაჭირვებული ადამიანების გულწრფელი გულსტიკივილი, რასაც მეორე მხრიდან ხან ცინიზმი, ხან კი მუქარა ეგებებოდა...

„50 წლის კაცი ვარ. 10 თვეა, ჩემს მოხუც, პენსიონერ მშობლებს ვიხმე პურის ფულს, რომ მე და ჩემი ცოლი შვილები არ დავიხიოცოთ. შვილი, რომელიც მშობლებს უნდა ინახავდეს, აქეთ კვლავ მათი სარჩენი ვხდები. ამაზე მეტი საშინელება გაგონილა?“ - კითხვა დასვა შეხვედრის ერთმა მონაწილემ და ამით ბევრის სათქმელი თქვა.

„ზამთარი მოდის, რით გავთბეთ ან რა ვჭამოთ? ჩვენ ხომ ამ ხელფასის იმედით ვიყავით. ვითმენთ, მაგრამ ჩვენს მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი?“

„ჩემი შვილი სტუდენტია, რა ვქნა, რითი გადავუხადო სწავლის გადასახადი? გამოდის, რომ სწავლას თავი უნდა დაანებოს...“

ყველა ამ გულსტიკივლზე და კითხვაზე პასუხი ერთი იყო: გთავაზობთ მოთმინებას. „დღეს კომპანიას კრიზისი აქვს. ჩვენ ხელფასებს, სირთულეების დაძლევის შემდეგ, აუცილებლად ავანაზღაურებთ. დღეს კი თქვენ ფულს სთხოვთ კომპანიას, რომელსაც ფული არ აქვს... მაშინ ნება რატომ არ იბოძეთ და მეტი ნავთობის მოპოვება ვერ შეძელით? კრიზისიც არ შეიქმნებოდა!“ - მამულაშვილის ამ რეპლიკამ ხალხის სერიოზული გუ-



ლისწყრომა გამოიწვია. დასაქმებულთა ერთმა ნაწილმა ისიც გააჟღერა, რომ ხელფასების გაუცემლობის შემთხვევაში, რკინიგზის პიკეტირებასაც არ მოერიდებიან, რაზეც მუქარისშემცველი პასუხი მიიღეს: „ვინც დააზარალებს კომპანიას, მკაცრად დაისჯება!“


შეხვედრის დასასრულს, კომპანიის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ ითხოვა ვალდებულებების დაკვირვება, რომ 10 დღის განმავლობაში შეაქვას მათი პრობლემის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომელთა დიდ ნაწილს, მისი დაპირებების უკვე აღარ სჯერა, საბოლოო შანსი კიდევ მისცა მას. შეხვედრის მონაწილეები უკმაყოფილოები სტოვებდნენ დარბაზს და აცხადებდნენ, რომ ისინი დანაშაულებს არ აპირებენ და ყველა გზას გამოიყენებენ, მათ შორის სამართლებრივს, რომ თავიანთი უფლებები დაცვა. როგორც მათ შეხვედრაზე განაცხადეს, უკანდასახევი გზა მოჭრილია და დასაპარტი ალარაფრები აქვთ! რაც შეეხება მათ დასჯას, „ფრონტარა ისტარა ჯორჯიას“ ისინი უკვე საკმარისად დასაჯა. ინგა შილაშვილი

ა უსიღბლოება თუ პრივილეგია?

ჩვენს საზოგადოებაში დიდი ხანია, არცთუ უსაფუძვლოდ, მიდის მსჯელობა იმაზე, უნდა ჰყავდეთ თუ არა ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირებს, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერსა და პრეზიდენტს სახელმწიფო დაცვა თანამდებობის ვადის ამონურვის შემდეგაც და მათი შენახვა გადასახადების გადახდელის ხარჯზე უნდა ხდებოდეს თუ არა?

ობიექტურად რომ, თქვათ, არსებობს პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე მთელი ცხოვრების განმავლობაში ზრუნვის საჭიროება? ცხადია, პრეზიდენტს მთელი ცხოვრება არ უნდა სჭირდებოდეს უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ადამიანებს, ხელისუფლებაში და მის მიღმა, თავიანთი ადამიანური ბუნება გამოარჩევს. დემოკრატიულ ქვეყნებში კანონმდებლობით არის უზრუნველყოფილი, რომ ხელისუფლება მუდმივად განახლებადია. რაგინდ კარგი და პოპულარული იყოს პრეზიდენტი, რაგინდ დიდი მხარდაჭერა ჰქონდეს მოსახლეობის მხრიდან, ორი და სამი ათეული წლის განმავლობაში ქვეყნის სათავეში ვერ იქნება. პოლიტიკური პარტიებიც ხელისუფლებაში არიან მხოლოდ მანამ, ვიდრე მათ ქვეყნის მოსახლეობა ენდობა. პარტიების შიგნითაც მუდმივი განახლების პროცესი მიმდინარეობს. არჩევნების შედეგებს პირდაპირ უკავშირდება მთავრობის ან კაბინეტის ცვლილებები, არის ხოლმე რიგგარეშე არჩევნების ფაქტებიც, ეს ყოველივე კი აურაცხელ ხარჯებთანაა კავშირში, რომელიც ისეც ქვეყნის მოსახლეობას და ეკონომიკას არყვეს. დღეს ჩვენ ჩავატარეთ მინი-გამოკითხვა და გიზიარებთ ჩვენი სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეების აზრს, რამდენად თვლიან საჭიროდ ვადის ამონურვის შემდგომ განხორციელებულ პრივილეგიებს და მათ უფრო, უსაფრთხოების ზომებს.

გეოსი ბიძინაშვილი, ფსიქოლოგი, ანთროპოლოგი - გააჩნია სახელმწიფოს სამოხელეო სისტემის თავისებურებებს: ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისათვის ისედაც დამახასიათებელია გაუმართლებლად გაბერილი საჯარო-სამოხელეო სტრუქტურების არსებობა, რომელთაგანაც მარტივად შეიძლება კოფიციენტი და საერთოდ, სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი სარგებელი, საკმაოდ



მოკრძალებულია, სამაგიეროდ, სხენებული სამოხელეო წარმონაქმნების არსებობა და ფუნქციონირება უზარმაზარ ფინანსურ თუ მატერიალურ სახსრებს მოითხოვს.

საჯარო-სამოხელეო აპარატი გადაქცეულია ერთგვარ თვითკმარ და პარაზიტულ სისტემად, რომელიც შთანთქავს მნიშვნელოვან რესურსებს, თუმცა, არ იძლევა ადეკვატურ საზოგადოებრივ სარგებელს. ეს არის ბიუროკრატიული პარაზიტის არსებობის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინება.

შეადარებისათვის: აშშ-ს მოსახლეობის რაოდენობა აღემატება 300 მილიონს, ხოლო ამ ქვეყნის ეკონომიკის ხვედრითი წილი მსოფლიო ეკონომიკის დაახლოებით 17-18%-ს შეადგენს, ხოლო საჯარო-სამოხელეო აპარატის რაოდენობა მთლიანდნობაში შეადგენს მხოლოდ 3 მილიონამდე მოხელეს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკიდან დღეისათვის ყველაზე მონინავე ქვეყანა არის ესტონეთი, რომლის წლიური საბიუჯეტო შემოსავლები თითქმის 35-36 მილიარდ ევროს აღწევს, სამოხელეო სისტემის დასაქმებულია მხოლოდ 36-37 ათასი საჯარო მოხელე.

მეტ მოხელეს, ხოლო ბოლო წლებში განვითარებულ სსიპებში თუ აიპებში თითქმის ერთი ამდენივეა ვითომ დასაქმებული. ამდენად, საქართველოში წარმოქმნილი ბიუროკრატიული აპარატი მოიცავს შრომისუნარიანი მოსახლეობის საერთო რაოდენობის თითქმის 8-9%-ს, რაც ყოველად გაუმართლებელია როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით.

რაც შეეხება დაცვის დანიშვნას, ვფიქრობ, რომ ეს ძვირი ფუფუნებაა ისეთი გალატაკებული ქვეყნისთვის, როგორც ჩვენი სახელმწიფოა.

მთელ რიგ მონინავე განვითარების სახელმწიფოებშიც ბოლო წლებში გადახედეს სამუდამო დაცვის მიჩენის კანონს და შექმნილია დაგვიანდა შეამსუბუქეს კიდევ ეს ვალდებულება. ჩვენს ქვეყანაში ისედაც გაუმართლებლად დიდი რესურსები იხარჯება ბიუროკრატიის შენარჩუნებისთვის. არა მგონია, რომ მათი პერსონების დაცვისთვის გახარჯული თანხები გამართლებული იყოს.

რუსულან ნაღირაშვილი, (უცხოენის პედაგოგი) - ჩემი აზრით, სახელმწიფო დაცვის სამსახურებმა უნდა შეისწავლონ და გამოიტანონ დასკვნები ყოფილ პრეზიდენტს, პრემიერს და პარლამენტის თავმჯდომარეს დაცვის გარეშე სიარულის დროს ემუქრებათ თუ არა საფრთხე. ეს საკითხი რისკის შემცველი არ უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ამით ჩვენი ქვეყნის რეპუტაციაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება... ან რატომ უნდა ემინოდეთ საკუთარ ქვეყანაში, თავის ხალხთან ქუჩაში დაცვის გარეშე გავლის? ეს ერთის მხრის სიგნალი იქნება მოქმედი თანამდებობის პირებისთვის, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ხალხის სიყვარული დაიმსახურონ, იმუშაონ მათი კეთილდღეობისთვის. დაცვის სამსახურის გაუქმება თანხების დაზოგვას გამოიწვევს, შეიძლება ეს თანხა უამრავ კარგ საქმეში დაიხარჯოს. მოხმარდეს იმ ადამიანებს, რომელთა ჯანმრთელობასაც სჭირდება „დაცვა“ და სიცოცხლის ყოველი წუთისთვის იბრძვიან. მათ უფრო სჭირდებათ სოციალური დაცვა, ვიდრე მათ - ვინც

ისედაც შეძლებს თავის დაცვას.

ლალი იაკობიშვილი, მეორე საჯარო სკოლის დირექტორი - ვთვლი, რომ ჩვენსთანავე ქვეყნისთვის, რომელსაც ამდენი სოციალურად დაუცველი ოჯახი და ლარიბი მოსახლეობა ჰყავს, ზედმეტი ფუფუნებაა.

ირინა მირაბიშვილი, ბიზნესუზენი - აბსურდულად მიმაჩნია ამ თემაზე საუბარი, არათუ კითხვის დასმა, რათქმუნდა, ყოფილები არ უნდა სარგებლობდნენ ზედმეტი პრივილეგიებით, დაცვა იქნება თუ სხვა რამ, ასეთ გაჭირვებულ ქვეყანაში.

ცირა წიკლაშვილი, ხელოვნებათმცოდნე (ემიგრანტი) - ჩემი აზრით, სახელმწიფოს თითოეულმა მოხელემ ისე უნდა იმუშაოს, რომ თანამდებობის დატოვების შემდეგ დაცვა არ სჭირდებოდეს არამცთუ უფადოდ, არცერთი წელი. თუ მაინცდამაინც ესაჭიროებათ, პირადი ანგარიშებიდან უზრუნველყო.

მანანა მჭედლიშვილი, უურნალისტი (ემიგრანტი) - მე თუ მკითხავთ, ყოფილს კი არა, მოქმედსაც არ უნდა ჰყავდეს სახელმწიფოს ხარჯზე, ისე უნდა მუშაობდნენ, რომ მუდმივად ხალხის სიყვარულს იმსახურებდნენ და არა საფრთხეს მათი მხრიდან. თუ მოსალოდნელი რეალური საფრთხე არსებობს მისი სიცოცხლის ხელყოფისათვის, კიდევ შესაძლებელია, მაგრამ ჩვენნაირი ქვეყნისთვის მაინც ზედმეტი მგონია ასეთი ხარჯები, რომლებსაც თუ გავყვებით, უამრავი სახისაა, ამიტომ ასე ცალსახად მიდგომა არ მიმაჩნია სწორად, მასე ბევრი რამ არის ისეთი, რომელიც საერთოდ გასაუქმებელია...

მიშა ბიკაშვილი, საკრებულოს იურისტი - ჩემი აზრით, სახელმწიფო დაცვა უმაღლესი თანამდებობის პირებს უნდა ჰყავდეთ იმ ვადით, რა ვადითაც ისინი იკავებდნენ თანამდებობას. ანუ თუ ადამიანი იყო პარლამენტის თავმჯდომარე 4 წლის განმავლობაში, მას გათავისუფლებიდან გამდევნო ოთხი წელი უნდა იცავდეს სახელმწიფო.

მომზადდა ელზა ხარაშვილი

შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებები და ხალხის აზრი

„ადამიანი თუ მუშაობს 2 ან მეტ სამსახურში, ეს მისი არჩევანია, მაგრამ თითოეულ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ თუ მისი უფლებები ირღვევა და აიძულებენ იმაზე მეტ მუშაობას, ვიდრე განსაზღვრულია, იქნება დაცული. ამისთვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ზემოქმედების მექანიზმები. ეს არ გულისხმობს, რომ ვინმეს აუკრძალოს თავისი სურვილი იმუშაოს რამდენიმე ადგილას, მით უმეტეს თუ ეს ინტელექტუალურ შრომას ეხება, შეზღუდვების დანერგვა არ შეიძლება მომსახურების სფეროში. აქ საუბარია უფრო ეფექტურ მექანიზმებზე, რომ ვინმემ კანონი მოქალაქეების შრომის ექსპლუატაციისთვის არ გამოიყენოს“, - აღნიშნა ციტირებულმა.

შრომის კოდექსში ცვლილებების პროექტის შესახებ კომენტარი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროშიც გააკეთეს და განხილვის პროცესში ბიზნესთან წინასწარი კომუნიკაციის ნაკლებობაზე გაამახვილეს ყურადღება. მინისტრის მოადგილის ეკატერინე მიქაბაძის განცხადებით, ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი, როგორც შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებებია, უფრო მეტად უნდა იყოს განხილული ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის ბიზნესთან. „მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს ბალანსი ბიზნესსა და დასაქმებულს შორის უფლებებს შორის, ანუ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული როგორც დასაქმებულის, ასევე დამსაქმებლის უფლებები,“ - განაცხადა ეკატერინე მიქაბაძემ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ასევე განაცხადა, რომ აუცილებელია წარმოდგენილ კანონპროექტზე რეგულირების გავლენის შეფასება, რათა ანისაზღვროს, რა გავლენას იქონიებს აღნიშნული პროექტი ბიზნესგარეშე და ზოგადად ეკონომიკურ მდგომარეობაზე ქვეყანაში.

„კანონის დახვეწის საჭიროება გამომდინარეობს ამ სფეროში შექმნილი საკმაოდ მძიმე ვითარებიდან, რაზეც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია სხამადალა საუბრობს. პროფკავშირებს მუდმივი განგაში აქვს ატეხილი, გვაკრიტიკებს ბევრი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, მუდმივად მიგვითითებს სახალხო დამცველი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ევროკავშირის სტრუქტურები და, რაც მთავარია, ამას ვხედავთ ჩვენს ყოველდღიურობაში, ყოველ ნაბიჯზე. ბევრი სპეკულაცია იყო, მაგრამ კანონპროექტი სინამდვილეში გულისხმობს: დისკრიმინაციის აკრძალვას, ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების გაცელებით მალა სტანდარტს, სტაჟირების ინსტიტუტის შემოღებას და სტაჟირების უფლებების დაცვას, სამუშაო დროის რეგულირებას და მონური შრომის აკრძალვას, ზეგანაკვეთური შრომის მომატებულ ტარიფით ანაზღაურებას, გარანტირებულ შესვენებას, დასვენებას და შვებულებას, სამსახურიდან ადამიანების უმიზეზოდ განთავისუფლების აკრძალვას, კონსულტაციებსა და ინფორმაციის გაცვლას დასაქმებულსა და დამსაქმებლებს შორის, მასობრივი დათხოვნის შემთხვევაში, დასაქმებულებისათვის გარკვეული გარანტიების მიცემას. რაც მთავარია, იმისათვის, რომ ეს კანონი იყოს ქმედითი, შემუშავებულია ზედამხედველი ორგანოს - შრომის ინსპექციის კანონი და კანონში გათვალისწინებულია აღსრულების მექანიზმები, მათ შორის სანქციები. კანონპროექტები ავტომატურად ევროკავშირის შესაბამის დირექტივებზე, რომელთა კანონმდებლობაში ასახვის ვალდებულება გვაქვს ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით. ასევე, ამ ცვლილებების განხორციელება აუცილებელი წინაპირობაა ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მოლაპარაკებების დასაწყებად. რაც შეეხება კანონპროექტების განხილვის პროცესს: კანონპროექტი ინიცირება ჯერ არ მომხდარა. პროექტი მომზადებულია, ჩატარდა პირველი შეხვედრა დაინტერესებულ 30-მდე ორგანიზაციასა და უწყებასთან. ამასთან ერთად, დაგეგმილია კიდევ მრავალი დეტალური განხილვა და მხარეთა პოზიციების დაახლოება. შენიშვნები მონარდებული აქვს სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციებს, პროფესიული კავშირების გაერთიანებას, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს, სახალხო დამცველს, ბიზნესომბუდსმენს, სამინისტროებს. იგეგმება

შენიშვნების გაანალიზება და პოზიციათა დაახლოება. მიუხედავად ამისა, საქართველოში მუდმივად იქნებიან ადამიანები, ვინც მონოდებულ იქნებიან, ქვეყანაში შეინარჩუნონ მონური შრომა“, - ნერს ციტირებული ჭაცებოოკის გვერდზე.

კანონპროექტის მიხედვით გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით კრიტიკული შენიშვნები ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლებმა და ბიზნესომბუდსმენმა გააკეთეს. საჯარო სამსახურებსა და კერძო სექტორში დასაქმებულის მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობა საქართველოს შრომის კოდექსით რეგულირდება. კანონით არის გათვალისწინებული შემთხვევები, როდესაც დასაქმებული ვალდებულია ზეგანაკვეთური სამუშაო შეასრულოს, თუმცა კანონში ასევე არის ნორმები, რომლებიც კრძალავს ზეგანაკვეთურად ადამიანის დასაქმებას. კანონით განსაზღვრულია, რა შემთხვევაში ანაზღაურდება ზეგანაკვეთური სამუშაო და რა შემთხვევაში - არა.

რა არის ზეგანაკვეთური მუშაობა?

ზეგანაკვეთური სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობაც სრულწლოვანი ადამიანის შემთხვევაში კვირის განმავლობაში აღემატება 40 სამუშაო საათს, 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის ზეგანაკვეთურია სამუშაო თუ ის აღემატება კვირაში 36 საათს; 14 წლიდან 16 წლამდე არასრულწლოვნისთვის კი ზეგანაკვეთურია სამუშაო თუ ის კვირის განმავლობაში აღემატება 24 საათს. ამასთან, კანონის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის შეთანხმებით უნდა შესრულდეს.

როდის არის დასაქმებული ვალდებული იმუშაოს ზეგანაკვეთურად?

დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურების გარეშე, თუ მას დამატებით მუშაობას სთხოვენ სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის. სხამანადო ანაზღაურება უნდა მოხდეს ზეგანაკვეთური მუშაობის დროს თუ ადამიანს მუშაობას სთხოვენ სანარმოო ავარიის თავიდან ასა-

მუშაობას?

შრომის კოდექსის მიხედვით, აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22:00 საათიდან 06:00 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეტუფური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება — მისი თანხმობის გარეშე. ამასთან, შრომის კოდექსის თანახმად, დასაქმებულს, რომელიც მეტუფური ქალია და კვებას ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

რა ხანგრძლივობის უნდა იყოს სამუშაო დრო?

სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, ხოლო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე სანარმოო, სადაც წარმოების/შრომითი პროცესი ითვალისწინებს 8 საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს — კვირაში 48 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების დრო და დასვენების დრო. თუ დამსაქმებლის საქმიანობა ითვალისწინებს წარმოების/შრომითი პროცესის 24-საათიან უწყვეტ რეჟიმს, მხარეები უფლებამოსილი არიან, დადონ შრომითი ხელშეკრულება ცვლაში მუშაობის შესახებ, შესაბამისი მუხლის პირობების გათვალისწინებით და დასაქმებულის დასვენების დროის მიცემის პირობით. სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს. 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს. ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10



დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი სანარმოო აუცილებლობის გამო. სამუშაოს პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

გაზეთი „შირაქი“

დაინტერესდა, თუ რას ფიქრობს მოსახლეობა აღნიშნულ კანონპროექტზე და ექნება თუ არა მას რეალური შედეგი ამოქმედების შემთხვევაში.

ნატა, 30 წლის: „ამ კანონპროექტისადმი ცუდად ვარ განწყობილი, რადგან საქართველო და ქართული კომპანიები არ არიან მზად არსებული კანონპროექტისთვის. აქედან გამომდინარე ისინი მოუტეხნიან ძალიან ბევრ გვერდის ამვლელ გზას, რადგან ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში მაინც და მაინც სასარბილო არაა. თუ არ იმუშავებთ და სამ სამსახურში, სადაც 200-300 ლარია ანაზღაურება, ისე თავს ვერ გაიტან. შესაბამისად ჯერ ადრეა ამ კანონპროექტის დამტკიცება, და მეც ჯერ ჯეროვით არ ვეთანხმები. ბიზნესი ამისთვის მზად არ არის. მეც პირადად დაახლოებით 2 სამსახური მაქვს, მაგრამ ჩემზე არ აისახება მსგავსი კანონი რადგან ვეცდები ისეთი კონტრაქტები გავაფორმო თითოეულ დამსაქმებელთან, რომ მეც კმაყოფილი ვიყო და დასაქმებულიც. შესაბამისად, ეს არ მოვა კანონთან წინააღმდეგობაში. ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს. ამ მოცემულობით, რაც დღეს ეკონომიკური ფაქტორები გვაქვს, მსგავსი კანონის მიღება წამგებანი უფრო იქნება ბიზნესისთვის.“

ბიორბი, 48 წლის: „დასაქმებულის უფლებები ერთ სამუშაო ადგილზე მუშაო-

ბითაც ხშირად ირღვევა. შრომის კოდექსით გათვალისწინებული 8 საათიანი სამუშაო დღის ნაცვლად ხშირად 9, 10 და მეტია. კანონიერი უფლებების მოთხოვნის შემთხვევაში დამსაქმებლის პასუხია: არ მოგონს და ნადი! რაც შეეხება რამოდენიმე სამუშაო ადგილს, ჩვენს ქვეყანაში, სადაც უმეგობრობის პიკია, ცოტა სასაცილოდ უღერს! თანაც, ბიზნესისთვის დღევანდელი სიტუაცია მომგებიანია, იმიტომ რომ მუდმივად შეუძლიათ გამოიყენონ იაფი მუშახელი, მინიმალური ანაზღაურებით. კანონში სამუშაო საათების რაოდენობაზე საუბარი და არა განვლული შრომის ადექვატურ ანაზღაურებაზე. სამსახურად, არ იქნება გამორიცხული, რომ ეს კანონიც დამსაქმებლებმა ჯერ საკუთარ თავზე მოირგონ, და მხოლოდ ამის შემდეგ დასაქმებულს შესთავაზონ უკეთესი სამუშაო პირობები. ეს იმის ბრალია, რომ დამსაქმებელმა იცის რეალური სიტუაცია (უმეგობრობის მაღალი დონე) და ამით, სამსახურად, სარგებლობს.“

ლ.ი., 27 წლის:

„სიმართლე რომ გითხრა, მეც ვმუშაობდი ორ სამსახურში. ფაქტურად სრული განაკვეთით ორივე გან და ეს საკმაოდ დამლელი პროცესი იყო. თუ იქნება ნახევარ ნახევარი განაკვეთი და არ გადააჭარბებს ის 48 საათს, ისე რომ კვირაში ადამიანს სრულყოფილად ჰქონდეს გამოძინების, დასვენების, დრო, ამ შემთხვევაში ვეთანხმები იმას, რომ ჰქონდეს ორი სამსახური. მაგრამ ზოგად ჭრილში სჯობს, რომ იყოს ერთი და ნორმალური სამსახური, ნორმალური სამუშაო საათებით, ნორმალური ანაზღაურებით, დასვენებით. იდეალური იქნება — ადამიანს დამატებით აღარ დასჭირდება მეორე და მესამე სამსახური. მაგრამ კანონით რომ აიკრძალოს, ამას ვი ვეთანხმები. იმიტომ რომ ჩემი გამოცდილებიდან არ მყოფნიდა ის ერთი სამსახურის ხელფასი. უბრალოდ, ის ჩემი არჩევანი იყო, რომ დამატებით მემუშავა. დამატებითი საათები მე თვითონ ავირჩიე. ჩემი თავი შევზღუდე, ვაიძულე, რომ გარკვეული საათები ძილისთვის მომეკლო, გარკვეული საათები დასვენებისთვის, იმისთვის რომ ჩემი შემოსავალი გამეზარდა. მე ვფიქრობ, რომ ეს ჩემი პირადი არჩევანი იყო, და კანონმა ეს არ უნდა ამიკრძალოს. მე თვითონ უნდა გადავწყვიტო მექნება დამატებით სამუშაო და დამატებით საათებს შევძლებ მუშაობას, თუ არა. როგორც კანონით, ვფიქრობ, რომ არ უნდა აიკრძალოს. იმიტომ, რომ დღეს დღისობით არ არის ისეთი სამუშაო პირობები, არ გვაქვს ისეთი შემოსავალი, სამსახურებში, არ გვეყოფის ის თანხა ჩვენი ერთი თვის ელემენტარული ცხოვრებისთვის, ყველაზე მინიმალური, კვებისთვის და ჩაცმისთვის, კონუმალურებისთვის და გადასახადებისთვის. აკრძალვის შემთხვევაში, შემოგვთავაზოს სახელმწიფომ/ბიზნესმა ის პირობები სამსახურში და ისეთი ანაზღაურება, რომ მინიმუმ ერთი თვისთვის საცხოვრებლად საკმარისი იყოს და დამატებითი სამსახურები არ დაგვჭირდეს. პლუს ამას ემატება სახელფასო ანგარიშებიდან თანხების ჩამოჭრა. სახელმწიფო ყველანაირად მზღუდავს, ბიზნესის მხრიდან ვეთანხმები რომ მარტო ერთი სამსახური უკეთესი იქნებოდა მოტივაციისა და წინფისთვის, მაგრამ მაშინ ბიზნესმა უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ მათი დასაქმებული მათთან რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს, იყოს მოტივირებული და ბოლომდე დაიხარჯოს. შესაბამისი ანაზღაურება ჰქონდეს, დაისვენოს კიდევ, ნაახალისოს კიდევ, კორპორატიული საღამოები მოუწყოს. ისე, რომ სხვაგან აღარ ფიქრობდეს წასვლას. ბოლომდე მასთან, რომ დაიხარჯოს დასაქმებული, ბიზნესმა უნდა შესთავაზოს კარგი პირობები. არსებობს კიდევ მსგავსი პრაქტიკა: როდესაც გასაუბრებაზე მიდის პიროვნება და მას გარკვეულ პირობებს სთავაზობენ, ის ამაზე თანხმდება და შემდეგ ეს პირობები დროთა განმავლობაში იცვლება დამსაქმებლის მხრიდან. პირველადი ხელშეკრულება ფაქტობრივად აღარ არსებობს. აქედან გამომდინარე აღარ უნდა იყოს დამატებითი საათები, აღარ უნდა შეიცვალოს პირობები, არ უნდა შეიზღუდოს დასაქმებული მეტად. რაც იდება იმ შრომით ხელშეკრულებაში, ზუსტად ისე უნდა იყოს შემდგომაც. და ვთქვით და რაღაც მაინც შეცვალა კომპანია, (გაგრძელება გვ.)“

მან სამყაროს შეხედა ციდან ჩამოვარდნილი გავშვის თვალებით

ორიოდე დღის წინ დედოფლისწყაროს მუნიციპალური ბიბლიოთეკაში ჩატარდა ინფორმაციის დღე „ყველაფერი ფიროსმანზე“. კიბეები, ფოიე და სამკითხველო დარბაზი გემოვნებით და ლამაზად იყო გაფორმებული ბიბლიოთეკის მხატვრის მანანა ინაშვილის ნამუშევრებით. დარბაზში ძირითადი ხაზი ნიკო ფიროსმანაშვილს ეკუთვნოდა. ყურადღებას „პლასტიკისა“ და გობელინზე შესრულებული ნიკალას პორტრეტები იპყრობდა. აქვე იყო გამოფენილი ფიროსმანის ნახატების კოლაცია თქვენი ფარდაგი, რომლებიც, ასევე, ქალბატონ მანანას ნამუშევრებია. დარბაზში მუდმივმოქმედ გამოფენებს ნიკო ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი სტელაჟიც ამშვენებდა, სადაც გამოფენილი იყო იოსებ ომანის „ჩვენი ნიკალა“, ანზორ მაძარაშვილის „ფიროსმანის გარემო“, ბენო გორდენიანის „მოგონებანი ფიროსმანზე“, გიორგი კაკაბაძის „ნიკო ფიროსმანაშვილის ილუსტრირებული ბიოგრაფია“, მანია ჩორგულაშვილის „ნიკვილითი ინყება სივრცელში“ და სხვა ნახატები, რომლებიც მრავალმხრივ ინფორმაციას იძლევა მის შესახებ.

ლი. მხატვართა საზოგადოებაშიც მიუღიათ, მაგრამ სათანადოდ ვერ დაუფასებიათ, რადგან თავად ნიკოც მორცხვი და თავის თავში ჩაკეტილი ყოფილა. თუმცა, ის შეუმჩნეველი არ დარჩენია ფრანგ მხატვარს ლე- დანტიუსს, რომელსაც საქართველოში უმოგზაურია და თან წაუღია ნიკოს რამოდენიმე სურათი. შემდეგ ძეგლები ზდანიევიჩები, დიმიტრი შევარდნაძე და სხვა მხატვრები და მკვლევარები დაინტერესდნენ ეს ინტერესი გრძელდებოდა დღემდე. და მსოფლიოს უდიდესი სამხატვრო დარბაზები და გალერეები დაეთმო ფიროსმანის გამოფენებს. დღემდე ამოუცნობია მისი ფენომენი და გასაოცარი მისი ფერთა პალიტრა - გაუხუნარი და ცოცხალი. მას არავითარი სიკოლა არ გაუვლია, მან სამყაროს შეხედა ციდან ჩამოვარდნილი გავშვის თვალებით, ამიტომ მის მხატვრულ ხილვას გასაოცარი გულუბრყვილობის ბეჭედი ახის. მას უყვარდა შავი ფერი, ჩალისფერი, ყვითელი, მუქი ლურჯი, ღვინისფერი და თეთრი. სხვა ტონებს იშვიათად ხმარობდა. ხატავდა უბრალოდ, ძალდაუტანებლად. უძლიერეს მხატვრულ ენაქმს უმარტივესი საშუალებებით აღწევდა.

ლიტერატორებისა და პროზაიკოსების დიდი დამსახურებაა, რომ მხატვარმა თავისი ლირსული ადგილი დაიმკვიდრა ხელოვნების უსასრულო სივრცეში. არცერთ ქართველ პოეტს არ დაუწერია ფიროსმანზე იმდენი ლექსი, რამდენიც ლადო ასათიანს. „მე ჩემს ცხოვრებასა და ამ უიღბლო კაცის ცხოვრებას შორის მოგახე რაღაც ნათესაური“ - აღიარებდა იგი. „როცა მეტეხის მუხურში ფიროსმანის გამოფენას ათვალიერებდა, დარბაზის დატოვება აღარ უნდოდა. დიდხანს იჯდა სკამზე მშვიდად, მდუმარედ შეჰყურებდა კედლებზე ჩამწკრივებულ სურათებს და ფართოდ გაღებულ თვალებში უკრიოდა გაოცება და სიხარული“ - იგონებს გიორგი ლეონიძე ლადო ასათიანზე. ამ დიდი ემოციებით და შთაგონებით დაწერა მან არაერთი ლექსი ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი: „მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაცხოვ, სხვა მეგობარი ქვეყნად ნუ გვირძაკავს, სხვა მეგობარი მეგობარს გალაკტიონსაც არ აუვლია გვერდი ფიროსმანისთვის. მხოლოდ გალაკტიონის ლექსს შემორჩა მადათოვის კუნძულზე კოჭლაშვილის დუქანი „თეთრი პელიკანის“ კედლებზე ფიროსმანის მიერ მოხატული ფარშევანგები, გემი და დიდი თევზი. „სული ტირის და როს ნანას, კოჭლო საპაპი, ჰპირადები, დაანებე ფიროსმანს სევდიანი ტვირთები, მიეთოვოს, მიეთოვოს კედლებს ფარშევანგები“. შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა სიმონ ჩიქოვანძაც: „და გიხილე, ლამეს ხევი ფუნჯითა, ვარდებს თესდი მარგარიტას სახლში...“ ნიკალასა და ფრანგი მოცეკვავის მარგარიტას გაუგონარ სიყვარულს - ლეგენდას თუ სინამდვილეს, ამ სევდიან ამბავს მიუძღვნა მშვენიერი ლექსი რუსმა პოეტმა ანდრია ვოზნესენსკიმ. ფიროსმანს თავისი წილი „ხარკი“ გადაუხადეს მისმა თანამემამულე ჩვენი დროის პოეტებმაც. უზომოდ ლამაზი ლექსები მიუძღვნეს მას თამარ ნასრაშვილმა, ჯუმბერ უთრუთაშვილმა, თამარ ნიკლაშვილმა, ზინო ბურდულაძემ, ნატო ყაჭაშვილმა, ზაურ გონამიშვილმა და სხვებმა. ეს შეხვედრა ერთ-ერთმა მათგანმა ლევან ალავერდამიშვილმა დაამშვენა და მხატვრულად წაიკითხა თავისი მშვენიერი ლექსი „ლოთი მხატვარი“. აქვე თემის ავტორმა თინათინ ულაშვილმა დამსწრეთ გააცნო ჩვენი რაიონის ერთ-ერთი გამორჩეული მხატვრის, ამქვეყნიდან უდროოდ წასული ნიჭიერი კაცის, ხეთის ბიკაშვილის ნიკალასადმი მიძღვნილი ლექსი „შემეჯიბრე, ქართველო!“.



